GEORGIA'S BIODIVERSITY THROUGH MY LENS

საქართველოს ბიომრავალფეროვნება ჩემს ობიექტივში

LEPL ENVIRONMENTAL INFORMATION AND EDUCATION CENTRE

MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

NBSAP accelerator partnership

Overview

Georgia is recognized as one of the world's biodiversity hotspots, distinguished by its remarkable variety of ecosystems, from high mountain habitats and primary forests to wetlands, semi-arid landscapes, and the Black Sea coastline. This ecological richness supports an exceptional number of species, many of which are endemic. The country's unique geography, spanning the Greater and Lesser Caucasus ranges and diverse climatic zones, contributes to its status as a vital center of biological diversity and priority region for conservation efforts.

On 22 May, 2026, the Biodiversity Policy Department of Georgia's Ministry of Environmental Protection and Agriculture (MEPA), in partnership with the Environmental Information and Education Center and with support from the NBSAP Accelerator Partnership, marked the International Day for Biological Diversity (IDB) with a nationwide photo contest aimed at raising public awareness about the state of biodiversity in Georgia and the ongoing NBSAP process. The celebration brought together representatives of government agencies, civil society organizations, academia, photo contest entrants, and members of the general public.

From the first round of photo submissions, 18 photos were selected. Of these, three winners were chosen through: 1) a public vote, 2) a jury composed of leading environmental NGOs, and 3) a Ministry jury consisting of representatives from various governmental departments and agencies. In addition, as a surprise, the Department of Biodiversity Policy also announced its own favorite and awarded the corresponding participant.

As part of the broader information campaign, a series of Facebook posts related to the IDB celebration and the photo contest reached a wide audience, demonstrating the high level of interest from the general public in the preservation of Georgia's biodiversity.

This brochure showcases the 18 photographs that advanced to the second round, along with their descriptions, celebrating Georgia's rich biodiversity and the public's engagement in its conservation.

მიმოხილვა

საქართველო აღიარებულია მსოფლიოს ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთ ცხელ წერტილად, რომელიც გამოირჩევა ეკოსისტემების მრავალფეროვნებით, მოიცავს მაღალმთიან ჰაბიტატებს, პირველად ტყეებს, ჭაობებსა და ნახევრად მშრალ ლანდშაფტებსა და შავი ზღვის სანაპიროს. აღნიშნული ეკოლოგიური მრავალფეროვნება განაპირობებს ქვეყნის ტერიტორიაზე სახეობათა განსაკუთრებულ სიმდიდრეს, მათ შორის მრავალი ენდემური სახეობის არსებობას. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც მოიცავს როგორც დიდ, ისე მცირე კავკასიონის ქედებს და მრავალფეროვან კლიმატურ და ეკოსისტემურ ზონებს, მას ბიომრავალფეროვნების თვარსაზრისით გამორჩეულ რეგონად აქცევს და მის კონსერვაციას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

2026 წლის 22 მაისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების პოლიტიკის დეპარტამენტმა, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან პარტნიორობითა და NBSAP აქსელერატორის მხარდაჭერით, ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღე (IDB) აღნიშნა ეროვნული ფოტოკონკურსით, რომლის მიზანი იყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საქართველოში ბიომრავალფეროვნების მდგომარეობისა და მიმდინარე NBSAP პროცესის შესახებ. ღონისძიებამ უმასპინძლა ფოტოკონკურსის მონაწილეებსა და სახელმწიფო უწყებების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, აკადემიური სექტორისა და ფართო საზოგადოების წარმომადგენლებს.

ფოტოკონკურსის პირველ ეტაპზე წარმოდგენილი ნამუშევრებიდან შეირჩა 18 ფოტო. მათ შორის სამი გამარჯვებული გამოვლინდა შემდეგი გზით: 1) საჯარო ხმის მიცემით, 2) წამყვანი გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციებისგან შემდგარი ჟიურის მიერ და 3) სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტებისა და სააგენტოების წარმომადგენლებისგან შემდგარი ჟიურის მიერ. ბიომრავალფეროვნების პოლიტიკის დეპარტამენტმა დამატებით, სიურპრიზად, გამოაცხადა საკუთარი რჩეული და შესაბამისი მონაწილე დააჯილდოვა.

ინფორმაციის ფართო კამპანიის ფარგლებში, ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღის და ფოტოკონკურსის შესახებ Facebook-ზე გამოქვეყნებულმა პოსტებმა ფართო აუდიტორიას მიაღწია, რაც ნათლად აჩვენებს საზოგადოების მაღალ ინტერესს საქართველოს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიმართ.

ამ ბუკლეტში წარმოდგენილია კონკურსის მეორე ეტაპზე გადასული 18 ფოტო, შესაბამისი აღწერებით. მისი მიზანია წარმოაჩინოს საქართველოს უნიკალური და მდიდარი ბიომრავალფეროვნება და ხაზი გაუსვას მისი დაცვის, შენარჩუნებისა და საზოგადოების აქტიური ჩართულობის მნიშვნელობას.

Winner **“Biodiversity Policy Department’s Favorite”**

Mariam Bzekalava

“For me, a single frame conveys my emotions and impressions more deeply than words ever could. That’s why I chose photography as my profession. This particular shot was taken in the summer of 2024, when I visited Lake Paliastomi for the first time.

While walking around Paliastomi, you notice many species of birds, fish, and beautiful plants. For someone who is at least a little obsessed with taking photos and who loves biodiversity, this means a great deal. Paliastomi is a wonderful place for birdwatching; being in that environment makes you feel detached from everyday life, filled with freedom, lightness, and tranquility. For a photographer, traveling to such a place is especially inspiring. You can capture countless beautiful frames and stumble upon extraordinary moments by chance, like a bird of a different species suddenly flying right past you.

As we were sailing on the boat, enchanted by the surroundings, I kept looking in every direction, trying to absorb every detail and preserve it through photographs. At one moment, my attention was caught by a white egret that took off very close to me. Everything happened so quickly that I was nervous while shooting. I wanted to capture the aesthetic beauty of its flight. When I saw the photo afterward, I was convinced that this was exactly the frame I had hoped to capture.

This image speaks volumes about my emotions and impressions. It reminds me of the uniqueness of Lake Paliastomi and of that extraordinary moment of takeoff — as if for a second I managed to freeze the bird in midair. It awakened feelings of joy, lightness, and satisfaction. For me, this frame is associated with peace, freedom, and the harmonious beauty of nature.”

გამარჯვებული **“ბიომრავალფეროვნების პოლიტიკის დეპარტამენტის რჩეული”**

მარიამ ბზეკალავა

“ჩემთვის ერთი კადრი იმაზე მეტად გადმოსცემს ჩემს ემოციებს, შთაბეჭდილებებს, ვიდრე სიტყვები, ამიტომაც ავირჩიე ფოტოგრაფია როგორც პროფესია. ეს კონკრეტული კადრი კი შეიქმნა 2024 წლის ზაფხულში. მაშინ პირველად ვიყავი პალიასტომის ტბაზე. პალიასტომის ტბაზე სეირნობისას ბევრი სახეობის ფრინველს შენიშნავთ, თევზებსა და ულამაზეს მცენარეებს. ეს კი იმ ადამიანისთვის, ვინც მინიმუმ შეპყრობილია ფოტოების გადაღებითა და ბიომრავალფეროვნების სიყვარულით ძალიან ბევრს ნიშნავს.

პალიასტომი შესანიშნავი ადგილია ფრინველებზე დასაკვირვებლად. ამ გარემოში ყოფნისას ხვდები, რომ მოწყვეტილი ხარ ყოველდღიურობას და გრძნობ თავისუფლებას, სილაღეს და სიმშვიდეს. ფოტოგრაფისთვის განსაკუთრებით საინტერესოა ასეთ ადგილას მოგზაურობა, რადგან ბევრი ლამაზი კადრი შეიძლება დაიჭირო, ბევრ გასაოცარ მომენტს გადააწყდე შემთხვევით, მაგალითად როგორ გადაგიფრენს სხვადასხვა სახეობის ფრინველი.

კატერით სეირნობისას გარემოთი მონუსხული შევყურებდი ყველა მხარეს, ვცდილობდი ყველა დეტალი კარგად აღმებეჭდა და შემომენახა ფოტოების სახით, ამ დროს ჩემი ყურადღება მიიპყრო თეთრმა ყანჩამ, რომელიც ძალიან ახლოდან აფრინდა. ეს ყოველივე ისე სწრაფად მოხდა, რომ ძალიან ვნერვიულობდი გადაღების მომენტში, მინდოდა დამეჭირა გადაფრენის ესთეტიკური მომენტი. ფოტოს ნახვის შემდეგ დავწმუნდი იმაში, რომ ეს იყო ის კადრი, რაც ყველაზე მეტად მინდოდა დამეფიქსირებინა.

ეს კადრი ჩემთვის ბევრს ამბობს ჩემს ემოციებზე, ჩემს შთაბეჭდილებებზე. პირველ რიგში ის მახსენებს პალიასტომის ტბის განსაკუთრებულობას, მახსენებს იმ არაჩვეულებრივი გადაფრენის მომენტს, თითქოს წამით შევძელი მისი ჰაერში შეჩერება, ამან კი სიხარულის, სილაღისა და კმაყოფილების გრძნობები გამიღვიძა. ეს კადრი ასოცირდება ჩემთვის სიმშვიდესთან, სილაღესთან და ბუნების ჰარმონიულობასთან.”

Winner **“Public’s Choice”**

Giorgi Kharbedia

Ruddy Turnstone *(Arenaria interpres)* in Kolkheti National Park

“This little traveler joined us for just a few minutes to rest during its long migration. Its camouflage is astonishing. It blends perfectly with the coastal environment of Kolkheti.”

გამარჯვებული **“ხალხის რჩეული”**

გიორგი ხარბედია

მეკენჭია *(Arenaria interpres)* კოლხეთის ეროვნულ პარკში

“ეს პატარა მოგზაური შორეული მიგრაციისას მხოლოდ რამდენიმე წუთით შემოგვიერთდა დასასვენებლად. გასაოცარია მისი კამუფლაჟი, რომელიც იდეალურად ერწყმის კოლხეთის სანაპიროს გარემოს.”

Winner **“Jury’s Favorite”**

Levan Chkareuli

Caucasian lynx *(Lynx lynx dinniki)*

“This photo was taken by me — Potskhveri in Kazbegi Protected Areas. I actively observe the wildlife found in Kazbegi.”

გამარჯვებული **“ჟიურის რჩეული”**

ლევან ჩქარეული

კავკასიური ფოცხვერი *(Lynx lynx dinniki)*

“ფოტო გადაღებულია ჩემს მიერ — ფოცხვერი ყაზბეგის დაცული ტერიტორიიდან. აქტიურად ვაკვირდები ყაზბეგში არსებულ ბინადრებს.”

Winner **“Ministry’s Favorite”**

Nikoloz Chkareuli

Caucasian tur and Eagle

“The Ruler of the Sky and the King of the Rock — one frame, two worlds. This frame captures the moment when a predator and its potential prey coexist within the same landscape. This photo is special to me, because capturing such a shot in the wild demands immense patience, time, and luck. The tur and the eagle — two free and powerful symbols of Georgia’s mountains — very rarely meet within a single frame. It can take years, spending days in the mountains, in the cold and the wind, just to witness such a moment at all, while the chance of capturing them together is probably only 1%. That is precisely why this photo is not simply a frame for me — it is an emotion, an unforgettable instant, and the result of a great deal of time spent with nature.”

გამარჯვებული **“სამინისტროს რჩეული”**

ნიკოლოზ ჩქარეული

ჯიხვი და არწივი

“ცის მბრძანებელი და კლდის მეფე — ერთი კადრი, ორი სამყარო. ეს კადრი ასახავს იმ მომენტს, როცა მტაცებელი და მისი პოტენციური ნადავლი ერთსა და იმავე ლანდშაფტში თანაარსებობენ. ეს ფოტო ჩემთვის განსაკუთრებულია, რადგან ველურ ბუნებაში ასეთი კადრის გადაღება უდიდეს მოთმინებას, დროს და იღბალს მოითხოვს. ჯიხვი და არწივი — საქართველოს მთების ორი თავისუფალი და ძლიერი სიმბოლო — ერთ კადრში ძალიან იშვიათად ხვდებიან. შეიძლება წლები დაგჭირდეს, დღეები გაატარო მთაში, სიცივეში და ქარში, რომ მსგავსი მომენტი საერთოდ დაინახო, ხოლო მათი ერთად გადაღების შანსი ალბათ მხოლოდ 1%-ია. სწორედ ამიტომ ეს ფოტო ჩემთვის უბრალო კადრი არ არის — ეს არის ემოცია, დაუვიწყარი წამი და ბუნებასთან გატარებული დიდი დროის შედეგი.”

Giorgi Gamgebeli

“Madatapa Lake is a high-mountain wetland ecosystem in southern Georgia, and one of the most important habitats for waterbirds. Seasonally, dozens of species gather here — both breeding birds and those that pause temporarily during migration. The photo captures a diverse colony of birds, where the coexistence, movement, and behavior of different species intersect within a single space. Ecosystems like this play a crucial role in preserving biodiversity and maintaining natural balance.”

გიორგი გამგებელი

“მადათაფას ტბა — სამხრეთ საქართველოს მაღალმთიანი ჭარბტენიანი ეკოსისტემა, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჰაბიტატია წყლის ფრინველებისთვის. სეზონურად აქ იყრის თავს ათობით სახეობა — როგორც მობუდარი, ისე მიგრაციის დროს დროებით შეჩერებული ფრინველები. ფოტოზე ასახულია ფრინველთა მრავალფეროვანი კოლონია, სადაც ერთ სივრცეში იკვეთება სხვადასხვა სახეობის თანაარსებობა, მოძრაობა და ქცევა. მსგავსი ეკოსისტემები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაში და ბუნებრივი ბალანსის დაცვაში.”

Nika Paposhvili

Bearded Vulture *(Gypaetus barbatus)*

“The Bearded Vulture always stirs a special emotion in me. Perhaps because one senses an extraordinary freedom and calm in it at the same time. The first time I saw it up close, gliding above a cliff, I was left with the impression that the mountains had a soul of their own. Since then, every encounter of mine with it reminds me how wild, powerful, and at the same time delicate the nature of the Caucasus is.”

ნიკა პაპოშვილი

ბატკანძერი *(Gypaetus barbatus)*

“ბატკანძერი ჩემში ყოველთვის განსაკუთრებულ ემოციას იწვევს. ალბათ იმიტომ, რომ მასში საოცარი თავისუფლება და სიმშვიდე ერთდროულად იგრძნობა. პირველად როდესაც ის ახლოდან დავინახე კლდის თავზე მოცურავე, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს მთებს საკუთარი სული ჰყავდათ. მას მერე, ჩემი ყოველი მასთან შეხვედრა მახსენებს, რამდენად ველური, ძლიერი და ამავდროულად ფაქიზია კავკასიის ბუნება.”

Giorgi Gvalia

A white squirrel on a blossoming tree

გიორგი გვალია

თეთრი ციყვი აყვავებულ ხეზე



Tinatin Kharshiladze

A ladybird by the shore of the Tbilisi Sea

თინათინ ხარშილაძე

ჭიამაია თბილისის ზღვის პირას

Meri Muladze

“In the photo, a bee is collecting nectar from a thistle flower, creating an ideal macro shot.”

მერი მულაძე

“ფოტოში ჩანს ფუტკარი, რომელიც ეკლის ყვავილიდან ნექტარს აგროვებს, რაც იდეალურ მაკრო კადრს ქმნის.”

Sopiko Maruqashvili

Grey heron *(Ardea cinerea)*

An egret posing in its natural habitat in the Pankisi Valley

სოფიკო მარუქაშვილი

რუხი ყანჩა *(Ardea cinerea)*

ყანჩა პანკისის ხეობაში ბუნებრივ პირობებში პოზირებს

Lika Kakitashvili

View from the dormitory of Kutaisi International University

ლიკა ყაყიტაშვილი

ხედი ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლიდან

Nino Chilingarashvili

Common blackbird *(Turdus merula)*

A common blackbird, perched on the dry branches of a tree

ნინო ჩილინგარაშვილი

შავი შაშვი *(Turdus merula)*

ხის ხმელ ტოტებზე ჩამომჯდარი შავი შაშვი

Nika Pailodze

Stoat *(Mustela erminea)*

“I took this photo at roughly 3,100 meters above sea level, near the Truso Valley, while hiking toward Kelitsadi Lake. Apparently, we sparked its curiosity — it kept following us. It would hide among the rocks and then reappear again. It didn’t avoid close contact either, and I managed to take this photo from a distance of about three meters. And not only a photo, I even captured a video, because it watched us for quite a long time. Seeing different representatives of Georgia’s fauna during a hike doubles the joy you get from experiencing the country’s wild nature and makes the journey far more memorable.”

ნიკა ფაილოძე

ყარყუმი *(Mustela erminea)*

“ეს ფოტო გადავიღე დაალხოებით 3100 მეტრზე ზღვის დონიდან, თრუსოს ხეობასთან ახლოს, როდესაც ვლაშქრობდი ყელიწადის ტბის მიმართულებით. როგორც ჩანს დიდ ინტერესს ვიწვევდით და მოგვყვებოდა. ქვებში ხან დაიმალებოდა და ხან გამოჩნდებოდა. ახლოს კონტაქტს არ გაურბოდა და დაახლოებით 3 მეტრის მანძილიდან გადავიღე ეს ფოტო. და არამარტო ფოტო. ვიდეოს გადაღებაც შევძელი იმდენ ხანს მიყურებდა. ლაშქრობისას ფაუნის სხვდასხვა წარმომადგენლის ნახვა, ერთი ორად ზრდის საქართველოს ველური ბუნებისგან მიღებულ სიამოვნებას და ბევრად უფრო დასამახსოვრებელს ხდის მოგზაურობას.”

Ketevan Peikrishvili

Viola *(Viola minuta)*

“In the harsh, far-reaching expanse of the Chaukhi massif, at 3,400 meters — where Kazbegi and Khevsureti meet — among the stones, in what seems an almost inaccessible spot, Viola minuta is found. It is an endemic species of the Caucasus highlands, inhabiting high altitudes.

This shot captures what is rare in nature: Viola minuta in its natural habitat, at an almost unreachable altitude, with a numerous population.”

ქეთევან ფეიქრიშვილი

წვრილი ია *(Viola minuta)*

“ჭაუხის მასივის მკაცრ თვალუწვდენელ სივრცეში, 3400 მეტრზე — იქ, სადაც ყაზბეგი და ხევსურეთი ერთმანეთს ხვდება - ქვებს შორის, თითქოს მიუვალ ადგილზე, გვხვდება Viola minuta. კავკასიის მთიანეთის ენდემური სახეობაა, რომელიც მაღალ სიმაღლეზე ბინადრობს

ამ კადრში დაფიქსირებულია ის, რაც ბუნებაში იშვიათია: Viola minuta თავის ბუნებრივ გარემოში, თითქმის მიუწვდომელ სიმაღლეზე, მრავალრიცხოვანი პოპულაციით.”

Dachi Shoshitashvili

“This picture is balance. Here, life and death do not fight each other — they exist together, in the same space, at the same time. Nature does not choose a side. It simply continues its own cycle.”

დაჩი შოშიტაშვილი

“ეს სურათი არის ბალანსი. აქ სიცოცხლე და სიკვდილი არ ებრძვიან ერთმანეთს — ისინი ერთად არსებობენ, ერთსა და იმავე სივრცეში, ერთსა და იმავე დროს. ბუნება არ არჩევს მხარეს. ის უბრალოდ აგრძელებს საკუთარ ციკლს.”

Eteri Svanidze

Caucasian dog's-tooth violet *(Erythronium caucasicum)*

"To let the natural landscape captured in the photo convey the mood to you exactly as it is, imagine this: beneath trees not yet in leaf, a carpet colored by the flowers that herald spring; a playful mountain river, swollen with the meltwater of winter's lingering snow; and a rural harmony, made drowsy by the pleasant tunes of birds astir with nature's revival. This is the wellspring of the many positive moods that nature's spring blossoming brings, which whispers to me of the love of life.

In Georgia, only one species of Erythronium (dog's-tooth violet) is found, distributed in the deciduous forests of the mountainous part of the country's west. The dog's-tooth violet is a wonderfully beautiful harbinger of spring, a rare plant and a Caucasus endemic."

ეთერი სვანიძე

კავკასიის კაბაჭრელა *(Erythronium caucasicum)*

"ფოტოზე აღბეჭდილმა ბუნების პეიზაჟმა, ზუსტად რომ გადმოგცეთ განწყობა, წარმოიდგინეთ. ჯერ კიდევ შეუფოთლავი ხეების ქვეშ გაზაფხულის მახარობელი ყვავილებით აფერადებული ხალიჩა, ზამთრის შემორჩენილი თოვლის ნადნობი წყლისგან წყალუხვი მთის ცელქი მდინარე და ბუნების გაცოცხლებით აჟღურტულებული ფრინველების სასიამოვნო ჰანგებით გაბრუებული სოფლური იდილია. ესაა, ბუნების გაზაფხულებით აყვავებული უამრავი დადებითი განწყობის საწყისი, რომელიც სიცოცხლის სიყვარულზე მეჩურჩულება. საქართველოში კაბაჭრელას მხოლოდ ერთი სახეობა გვხვდება, რომელიც ქვეყნის დასავლეთში, მთიანი ნაწილის ფოთლოვან ტყეებშია გავრცელებული. კაბაჭრელა გაზაფხულის მახარობელი საუცხოოდ ლამაზი მცენარეა, რომელიც იშვიათია და კავკასიის ენდემს წარმოადგენს."

Boris Karslian

White Stork *(Ciconia ciconia)*

“In Ninotsminda, after a storm, nature seems to come to a stop. Cold wind, wet feathers, and the tiny chicks of white storks, leaning against one another, waiting for the storm to subside. In this harsh climate, in Javakheti, survival is a daily trial, where every spark of warmth matters. And yet, life does not yield here. Every year the number of storks grows: their nests are on almost every pole, right beside people’s homes, as a symbol of resilience and trust. There, where cold and wind test one’s fortitude, strength is born — quiet, but unyielding. This frame tells of the fragility and the fortitude of wildlife — of a hope that fears neither hail nor cold.”

ბორის კარსლიანი

თეთრი ყარყატი *(Ciconia ciconia)*

“ნინოწმინდაში სეტყვის შემდეგ ბუნება თითქოს ჩერდება. ცივი ქარი, სველი ბუმბული — და თეთრი ყარყატების პაწაწინა ბარტყები, ერთმანეთზე მიყრდნობილნი, ელოდებიან ქარიშხლის ჩაცხრომას. ამ მკაცრ კლიმატში, ჯავახეთში, გადარჩენა ყოველდღიური გამოცდაა, სადაც თითოეული სითბოს ნაპერწკალი მნიშვნელოვანია. მიუხედავად ამისა, სიცოცხლე აქ არ ნებდება. ყოველწლიურად ყარყატების რაოდენობა იზრდება: მათი ბუდეები თითქმის ყოველ ბოძზეა, ადამიანების სახლების გვერდით, როგორც გამძლეობისა და ნდობის სიმბოლო. იქ, სადაც სიცივე და ქარი ამოწმებს სიმტკიცეს, იბადება ძალა - მშვიდი, მაგრამ შეუდრეკელი. ეს კადრი გვიყვება ველური ბუნების სიფაქიზისა და სიმტკიცის შესახებ - იმედზე, რომელსაც არც სეტყვის ეშინია და არც სიცივის.”

Giorgi Shamugia

European Red Squirrel *(Sciurus vulgaris)*

“I took this photo in the Digomi Forest Park in Tbilisi. The frame captures a small squirrel, one of nature’s most cautious and free-spirited inhabitants. The black-and-white tonality emphasizes its delicacy and the fragile connection that exists between humans and nature.

The photo reminds us of the importance of biodiversity. Even in a city, beyond the noise and the urban environment, life continues to thrive. Every tree, forest, and small ecosystem is home to countless living creatures. This work is dedicated to the idea of environmental protection. If we protect nature, we also protect the invisible world that lives right beside us. Each inhabitant of the forest reminds us that humans are part of nature, and preserving it is our shared responsibility.”

გიორგი შამუგია

ციყვი *(Sciurus vulgaris)*

“ეს ფოტო დიღმის ტყე-პარკში, თბილისში გადავიღე. კადრში აღბეჭდილია პატარა ციყვი, ბუნების ერთ-ერთი ყველაზე ფრთხილი და თავისუფალი ბინადარი. შავ-თეთრი ტონალობა ხაზს უსვამს მის სიფაქიზესა და იმ მყიფე კავშირს, რომელიც ადამიანს და ბუნებას შორის არსებობს.

ფოტო ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობას გვახსენებს. ქალაქშიც კი, ხმაურისა და ურბანული გარემოს მიღმა, სიცოცხლე აგრძელებს არსებობას. თითოეული ხე, ტყე და პატარა ეკოსისტემა უამრავი ცოცხალი არსების სახლია. ეს ნამუშევარი გარემოს დაცვის იდეას ეძღვნება და თუ ბუნებას დავიცავთ, დავიცავთ იმ უხილავ სამყაროსაც, რომელიც ჩვენს გვერდით ცხოვრობს. ტყის თითოეული ბინადარი გვახსენებს, რომ ადამიანი ბუნების ნაწილი არის და მისი შენარჩუნება საერთო პასუხისმგებლობაა.”

სსიპ გარემოსდაცვითი
ინფორმაციისა და
განათლების ცენტრი

გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტრო

NBSAP
accelerator
partnership